სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 6 23 0001693061

11/12/2023

ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N 150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 9 ნოემბრის N 1520953 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2023 წლის 10 ნოემბრის N 1528176 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების, ,,ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2023 წლის 4 დეკემბრის N1642640 ბრძანებისა და ფაკულტეტთა წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სახელმწიფო სტიპენდია 2023 წლის პირველი ოქტომბრიდან 2024 წლის პირველ იანვრამდე სამი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით დაენიშნოთ ფაკულტეტების მიხედვით ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტუ-ის ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს: (იხ. დანართი)
2. ბრძანება გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში. მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

რექტორი
გურგენიძე დავით